სალომე ბახია-ოქრუაშვილი

აზერბაიჯანის ქართული მოსახლეობის (ინგილოების) ოჯახი და საოჯახო ყოფა

XVII-XVIII სს-ში ძველი აღმოსავლეთ კახეთის – კახის, ზაქათალასა და ჭარ-ბელაქანის ტერიტორიებზე მომთაბარე მაჰმადიანური ტომებისა და ლეკური თემების (დაღესტნელების) მძარცველური თავდასხმების, ძალადობრივი ქმედებების შედეგად ადგილობრივი ქართული მოსახლეობა მინიმუმამდე დავიდა: ეთნიკურ ქართველთა ნაწილი დაიხოცა და ნაწილი ირანში გადაასახლეს, დარჩენილი კი გამუსლიმდა. ყველაფერი ირან-ოსმალეთის დაპყრობით აგრესიას მოჰყვა. თავდაპირველად ზაქათალის რაიონი იქნა გამუსულმებული და დასაწყისში სწორედ მას ეწოდა „საინგილო“ ანუ რწმენა შეცვლილი მოსახლეობა. იგი სპარსული სიტყვიდან იქნა შექმნილი და დამკვიდრებული, რომელიც „ამოძირკვულის“, „ამოგდებულის“ მნიშვნელობით გავრცელდა და რაც, როგორც ითქვა, ქართული მოსახლეობის „მორჯულებასთან“ – გამუსულმანებასთან იყო დაკავშირებული.[1] ქართველთა ძალადობრივი გამუსლიმება შაჰ-აბასის შემოსევის (XVII ს. დასაწყისი) შემდეგ დაიწყო. პირველი, ვინც საკუთარი ნებით ისლამი მიიღო, კაკის მოურავი და შემდგომ ელისუს სულთანი ვახვახიშვილი იყო, რომელიც შაჰ-აბასს ეწვია და რწმენა შეიცვალა. მან სახელად ალი ბეგი მიიღო, მის სახელს კახის რაიონში სოფ. ალიბეგლოს სახელწოდების წარმოშობას უკავშირებენ.

1615-1616 წწ. კახეთის მთაში დაღესტნური მოსახლეობა გავრცელდა თავისი წახურული ენით, რომლებმაც დარჩენილ ქართველებს ეს ენა თავს მოახვიეს. ქურმუხისა და სამურის ხეობებშიც მრავალი ლეკი (დაღესტნელი) დასახლდა. გავრცელდა მუღალთა და ავარიელთა/ხუნძთა მოსახლე-

[1] ალექსანდრა ჩხენკელი, მზიან საინგილოში, თბ., 1957, 3.

ობა.[2] მთიელი ლეკების თარეშის შესახებ პ. ღამბაროვი წერდა, რომ „მომთაბარეს თავისი ყოფა-მდგომარეობა იდეალურად მიაჩნდა“... „არავითარ კულტურას, არავითარ მოქალაქეობრიობას იგი არ ეგუებოდა. უგულვებელყოფდა ყოველგვარ წესიერ შრომას და პატივს არ სცემდა სხვის საკუთრებას; ძარცვა თავისებურ ვაჟკაცობად მიაჩნდა“.[3]

XIX საუკუნის პირველ მესამედში, საინგილოს გლეხობა აქ უკვე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისაგან შედგებოდა. ქართველი ინგილოების გარდა აქ მუღალები და ავარიელები (ხუნძები) ცხოვრობდნენ... ქართველები ქართველებად აღარ იხსენიებოდნენ... თუმცა, ძირითადი მასიდან თავისი მაღალი სამეურნეო კულტურით სწორედ ქართველები გამოირჩეოდნენ, რომლებიც მიწაზე მიჯაჭვულნი, მძიმე ფეოდალურ ექსპლუატაციას განიცდიდნენ. მათი „მფლობელები“ „აღები“ (ანუ ბატონები) ლეკები იყვნენ.[4]

XIX ს-ში ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით ჭარ-ბელაქანი, ელისუს სასულთნოს ჩათვლით, მდ. ყანი-ყობსა (აღმოსავლეთით) და გავაზის-წყალს (დასავლეთით) შორის მდებარეობდა. სამხრეთ-დასავლეთით მას მდ. ალაზანი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით აგრი-წყალი (ალაზნის შენაკადი) და ჩრდილოეთით საზღვარი კავკასიონს, ხორავის მთაგრეხილს ებჯინებოდა... 1860 წელს რუსეთის მმართველობამ ჭარ-ბელაქანის სამხედრო ოლქს, რომელიც საინგილოს ადმინისტრაციულ გაერთიანებას გულისხმობდა „ზაქათალის ოლქი“ უწოდა და მისმა საზღვარმა კავკასიონის ქედზე გადმოინაცვლა, როდესაც მდ. სამურის ჩრდილო ნაწილში მდებარე 6 სოფელი საქართველოს ეკუთვნოდა და

---

[2] თემრაზ ბურჯაევი (ასისთავიშვილი), სულხან ისაევი (დათუნაშვილი), ბადრი ალიბეგოვი (მოურავიშვილი), ინგილოდ წოდებულ ქართველთა ტრაგედია. თბ., 2001, 3.

[3] П. Гамбаров, О кочевках в связи о постбищним вопросом ТКОСХ, 1885, №9-10, 27.

[4] თემრაზ ბურჯაევი... დასახელებული ნაშრომი, 4.

მთელი ეს ტერიტორია კახეთის აღმოსავლეთ უბანს შეადგენდა.[5]

მართალია, თავდაპირველად ზაქათალის რაიონს ეწოდა „საინგილო“, მაგრამ თანდათან მას ბელაქანის და ბოლოს კახის რაიონიც დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ კახის რაიონის მოსახლეობას რწმენა არ შეუცვლია. სწორედ კახის (კაკი) რაიონის „ინგილოებში“ იდენტობის როლი მკვეთრად ვლინდება – ოჯახურ, ტერიტორიულ, ეროვნულ და რელიგიურ პრობლემებში, რომელიც საკუთარ სოციალურ და კულტურულ კატეგორიებს ეფუძნება. დღემდე მათ ვერ გაითავისეს ტერმინი „ინგილო“, მის მიმართ პროტესტის გრძნობა უჩნდებათ და რადგან მათ სარწმუნოება არ შეუცვლიათ, საკუთარ თავს „ჰერელებს“ უწოდებენ. თუმცა ეს ტერმინიც მათ მიმართ ხელოვნურია. ეს ტერიტორია XV საუკუნემდე, მართლაც, იყო „ჰერეთის“ სახელწოდებით ცნობილი, მაგრამ ამ ტერმინის გაქრობის შემდეგ ამ პოლიტიკური ერთეულის ტერიტორიას „კახეთის სამეფო“[6] ეწოდა. ამდენად, „საინგილო“ ერთიანი საქართველოს აღმოსავლეთი მხარის, კახეთის განაპირა ნაწილი გახლდათ, თუმცა, ზოგიერთი რუსი, დაღესტნელი და აზერბაიჯანელი მკვლევარი ამას, მით უმეტეს, დღეს არ აღიარებენ. წერენ, რომ „ჭარის მიწა ეკუთვნოდა ხუთ ლე-

---

[5] მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953, 5-6.

[6] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, ტ. III, 1953, მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს ისტორიიდან, თბ., 1953; და მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს-ში. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1967; თ. პაპუაშვილი, ცნებები, „კახი“, „კუხი“, „ჰერი“ და შესაბამისი ქვეყნების სახელწოდებების „კახეთის“, „კუხეთის“, „ჰერეთის“ შესახებ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბ., 1993; მისივე, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; მისივე, ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972.

კურ საზოგადოებას, რომლებთაც თანაბარი უფლებები ჰქონდათ მათზე“.[7]

სამწუხაროდ, 1826 წ. კოცებუს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, თანამედროვე აზერბაიჯანელი და დაღესტნელი მკვლევარები, ყოველგვარი ანალიზისა და კორექტირების გარეშე იყენებენ. ისინი ფიქრობენ, რომ ჭარის, ბელაქანის, თალის, მუხახისა და ჯინიხის საზოგადოებები ძველადაც მუდმივად ლეკების მფლობელობაში იყო, ხოლო „საკუთარ ქვეყანაში“ ლეკები „ინგილოებს“ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლებას საერთოდ არ აძლევდნენ. დაღესტნისა და აზერბაიჯანის ზემოთ დასახელებული მკვლევარები არც კი მიანიშნებენ, რომ ისტორიულად ეს ტერიტორია საქართველოს ეკუთვნოდა და ქართული იყო. მათი აზრით, „21 სოფლის წარმომადგენლები და, მათ შორის, ინგილოები (ქართველი მუსლიმები), მუღალები (ძირითადად აზერბაიჯანელები) ბეგარას უხდიდნენ და ექვემდებარებოდნენ ლეკებს.[8] გარდა ამისა, ჰაფიზოვი ქართულ ტოპონიმებს ამახინჯებს და არც კი მიანიშნებს, რომ ისინი ქართულია. სამწუხაროდ, არც „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ იყო კარგად ახსნილი, თუ რატომ ცხოვრობს აზერბაიჯანში ქართული მოსახლეობა კომპაქტურად. БСЭ ინგილოების შესახებ მხოლოდ იმას წერდა, რომ „ინგილოები ქართველების სახელწოდებაა. წარმოშობით ქართველები, დღეს აზერბაიჯანის სსრ-ს სამ დასავლეთ რაიონში ცხოვრობენ, რომელთა დიდმა ნაწილმა იძულებით ისლამი (სუნიტური მიმდინარეობა) XVII საუკუნის დასაწყისიდან მიიღო“.[9] თავისთავად ცხადია, რომ არც რუს, აზერბაიჯა-

---

[7] Коцебу М. А. Сведения джарских владениях, 1826 г. История, география и этнография Дагестана XVIII-XIX вв. Архивные материалы (ИГЭД) под ред. М.О. Косвена и Х.М. Хашаева. М., 1958, 263; Сулейманова С. Джаробелаканские аварцы (историко-энографические исследование). Азербайджан и азербайджанцы в мире. Баку, 2009, №2, 65; Хапизов Ш.М. населения Джарского общества, Махачкла, 2011, 6-9 და სხვ.

[8] Хапизов Ш.М. Поселения Джарского общества, Махачкала, 2011, 9 და სხვ.

[9] БСЭ, II изд., т. 17, 622.

ნელ და დაღესტნელ მკვლევარებს არა აქვთ ახსნილი, რომ უცხო ქვეყნის დამპყრობლების დახმარებით დაღესტნელმა ლეკებმა როგორ მოახვიეს თავს საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს სხვა ქვეყნის რელიგიური და კულტურული ღირებულებები. სასულთნომ, რომელმაც ეს ტერიტორია ხელში ჩაიგდო, როგორ მართავდა ამ საზოგადოებას. იგი საკმაოდ თავგასული იყო და მკვიდრ მოსახლეობას ყველანაირ უფლებებს ართმევდა.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ახლადშექმნილ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაშიც ღალატით აღმოჩნდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები, მაჰმადიან ინგილოთა ძალდატანებითი ენობრივი ასიმილაცია წარმატებით გაგრძელდა. აზერბაიჯანის კპ ცკ I მდივანმა მ. ბაგიროვმა 1944-45 წწ.-ში ბაქოში ჩასულ საქართველოს დელეგაციის წევრებს განუცხადა, რომ „მაჰმადიან ქართველებში საჭირო აღარაა ქართული სკოლები, რადგან ამ მოსახლეობაში ქართული ენა უკვე კვდება“.[10] თუმცა, ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქცეულ საქართველოს ისტორიულ პროვინციაში – ზაქათალის და ჭარ-ბელაქანის რაიონში – მხოლოდ მცირეოდენმა ქართულმა მოსახლეობამ შეინარჩუნა დიდი ზეწოლის მიუხედავად თავისი იდენტობა, თუმცა, რელიგია დაკარგა და გამაჰმადიანდა. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს საპირისპიროდ არასოდეს ზეწოლა არ უგრძვნიათ მართლმადიდებელი ქართველებისაგან, საკუთარი რელიგია, ენა და ეთნიკურობა შენარჩუნებული აქვთ. აზერბაიჯანში კი დევნასა და ზეწოლას იმჟამად კახის რაიონის ქართველობამ გაუძლო და რელიგიასთან ერთად ეთნიკური იდენტობაც შეინარჩუნა. ისინი დღემდე თავისი წარმომავლობითა და რელიგიით ამაყობენ. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ ქართველი მოსახლეობის ოჯახისა და საოჯახო ყოფაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

---

[10] თემრაზ ბურჯაევი (ასისთავისშვილი)... დასახელებული ნაშრომი, 5.

ამა თუ იმ ეპოქის ოჯახისა და საოჯახო ყოფის პრობლემების კვლევა და მასთან დაკავშირებულ ჩვეულებათა შესწავლა ხალხის კულტურისათვის დამახასიათებელ იმ ეთნოლოგიურ მონაცემებს წარმოაჩენს, რომლებიც იმდროინდელი საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი. კარგად ჩანს, რომ ქართველები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საკუთარ ტერიტორიაზე, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო. ყოველი მცდელობა გაეთავისუფლებინათ ქვეყანა მტრისაგან, უშედეგოდ მთავრდებოდა. მტერი სხვადასხვა წარმოშობისა და განვითარების, ამავე დროს სასტიკი იყო. ცარიზმმა თავისი პოლიტიკური ამბიციებით საქართველო და მისი ხალხი საბოლოოდ უფრო დააზარალა. ოჯახი საზოგადოების ისეთი მიკროერთეულია, რომელშიც ერთმანეთთან განსხვავებული პრობლემებია გაერთიანებული – სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვ. გარდა ამისა, საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე მიგრაციული გზით შემოჭრილმა მუსულმანურმა მოსახლეობამ ქართულ ოჯახებს ფსიქოლოგიური და დემოგრაფიული პრობლემებიც გაუჩინა. ამრიგად, ბუნებრივია, რომ ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკურმა ვითარებამ ქართველების და მათი ოჯახების კულტურული განვითარების პროცესების გამწვავება გამოიწვია.

თანამედროვე ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ქართული (ინგილოური) ოჯახისა და საოჯახო ყოფის შესახებ მასალა ძალიან მცირეა. მათი შესწავლა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით მ. ჯანაშვილს[11], ალ. ჩხენკელს[12], ზ. ედილს[13], გ. ჩანგაშვილს[14], ი. ადამიას[15] და სხვებს. 1990-იან წლებში კახის რაიონის ინგილოთა ყოფისა და კულტურის შესწავლის შედეგად მ. ბოკუჩავამ შექმნა საკანდიდატო დისერტაცია.[16] მიუხედავად ამისა, აზერბა-

---

[11] მ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913.

[12] ალექსანდრა ჩხენკელი, მზიან საინგილოში, თბ., 1957.

[13] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997.

[14] გ. ჩანგაშვილი, საინგილო, თბ., 1970.

[15] ილ. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება (საინგილო), თბ., 1979.

[16] მ. ბოკუჩავა, ინგილოთა ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1993, საკანდიდატო დისერტაცია.

იჯანში მცხოვრები ქართველების შესახებ შექმნილი ნაშრომები მაინც უმნიშვნელო რაოდენობისაა. თუმცა, ზემოთ დასახელებული ავტორების დამსახურებაა, რომ ქართველთა საოჯახო ყოფაზე ეთნოგრაფიული ცნობები შემოგვრჩა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მუსლიმანური მოსახლეობის მიგრაციამ და მათმა ზეწოლამ რელიგიურ ფაქტორზე და აქედან ზაქათალასა და ბელქანის ქართული მოსახლეობის ქორწინებასა და საოჯახო ყოფაზე, თითოეული წევრის ღირებულებებსა და იდეალებზე დიდი გავლენა მოახდინა. ქართველთა დამოკიდებულება საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. ამ რაიონებში ქართველთა კომპაქტური დასახლებების მოშლის შედეგად, მხოლოდ აქა-იქ, მცირე რაოდენობის მოსახლეობამ შეინარჩუნა იდენტობა, თუმცა, რელიგია მაინც შეიცვალა, გამაჰმადიანდა. სამი რაიონიდან, მხოლოდ კახის რაიონში კომპაქტურად მოსახლე ქართველებმა გაუძლეს ზეწოლას და შეინარჩუნეს როგორც ქართული ტრადიციული კულტურა, ისე იდენტობაც. მ. ბოკუჩავა მათ ყოფას კონსერვატიული ბუნების მატარებლად თვლის და ფიქრობს, რომ ამ რაიონის ქართველობამ და მათმა ტრადიციულმა ყოფამ მხოლოდ მცირე ნაწილში თუ განიცადა ტრანსფორმაცია.[17]

კახში კონფესიურად დღესაც მართლმადიდებელი ქართველები ცხოვრობენ, რომელთაც მხოლოდ უკანასკნელ წლებში შეერიათ აზერბაიჯანული მოსახლეობა. იგი ეთნიკურად ერთგვაროვანი იყო. მიუხედავად, მაჰმადიანური კულტურის ზეწოლისა მათმა ქრისტიანულმა კულტურამ ყველანაირი დაბრკოლებები შექმნა თავის დასაცავად. გარკვეული ბარიერები შექმნა მიგრაციული გზით შემოჭრილი მოსახლეობის განსხვავებული კულტურის სხვადასხვა ცივილიზაციისა და სოციალური დონის ძალისმიერი მეთოდების წინააღმდეგ. ამიტომაც, მათ საოჯახო ყოფის, ქორწინების, საზოგადოებრივი ურთიერთობის, დღეობა-დღესასწაულების შენახვა და დაცვა მოახერხეს, თუმცა, როგორც ჩანს, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მაინც სოფ. ყორაღანის მაცხოვრებლები აღმოჩნდნენ, რომლებმაც კახის რაიონის სოფ. ყორაღანიდან 1930 წ. (მუსლიმი

---

[17] მ. ბოკუჩავა, ინგილოთა ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1993, საკანდიდატო დისერტაცია, 6.

მოსახლეობის ზეწოლის გამო) საქართველოში გადმოსახლება მოახერხეს. ეს მოსახლეობა კახეთში, დედოფლის წყაროს სოფ. სამთაწყაროში კომპაქტურად დასახლდა. 2013 და 2014 წლებში ჩვენ ამ სოფელში საველე ეთნოგრაფიული მასალები მოვიპოვეთ, რომელსაც წინამდებარე სტატიაში ვიყენებთ. კახში კონფესიურად დღესაც მართლმადიდებელი ქართველები ცხოვრობენ, რომელთაც მხოლოდ უკანასკნელ წლებში შეერიათ აზერბაიჯანული მოსახლეობა.

კახის რაიონის ფართობი 1,494 ათასი კვ.მ.-ია, და 2000 წლის აღწერით იქ მოსახლეობა 51000 ადამიანს შეადგენდა. აქედან, 2005 წლისათვის ამ რაიონში უკვე 40022 აზერბაიჯანელი, 1600 წახურელი, 1500 ხუნძი, 150 რუსი, ხოლო ქართველი 7800 იყო. კახის რაიონის დასახლებული პუნქტები გაიზარდა და ამ დროისათვის იგი 58 სოფელს შეადგენს. მათგან მხოლოდ ხუთ სოფელში ცხოვრობენ ქართველები, დანარჩენ სოფლებში ზემოთ ჩამოთვლილი შერეული მოსახლეობაა. რამდენადაც ცნობილია, 2005 წლის შემდეგ დემოგრაფიული სიტუაცია კვლავ აზერბაიჯანული მოსახლეობის ზრდით აღინიშნა.

ისტორიული აღმოსავლეთ კახეთის ნაწილი, რომელიც ამჟამად აზერბაიჯანის ტერიტორიად ითვლება, მდებარეობს ალაზნის ხეობაში. იგი, თავის დროზე, სიღნაღისა და ნუხის მაზრების და დაღესტნის მომიჯნავე ზაქათალის მაზრის ტერიტორიას შეადგენდა. ჩრდილო-აღმოსავლეთით მას კავკასიის ქედი დაჰყურებს, სამხრეთ-დასავლეთით კი ალაზნის პირის დაბლობი და ტყიანი ადგილები მიუყვება, ასევე შავი-მთა და ცივგომბორის მთების სივრცეც აკრავს. კავკასიის ქედის დაბლობში, ვაკე ადგილები ხან ფართოვდება და ხან ვიწროვდება. საერთოდ, „საინგილოს“ სახელით ცნობილ ტერიტორიაზე მაღალი მთები, დაბლობები და ვიწრო ხეობები იყრიან თავს, რაც, ბუნებრივია, ჰავის თავისებურებასა და მასთან ერთად განსხვავებულ მცენარეულ საფარსაც იძლევა. კავკასიის ქედიდან ამ ტერიტორიაზე საკმაოდ წყალუხვი მდინარეებიც ჩამოედინება, რომლებიც გაზაფხულზე ან ხშირი წვიმების დროს ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემებსაც უქმნის.

XIX საუკუნეში ადგილობრივი მაცხოვრებლების – ქართველების – ინიციატივით აქ გაყვანილ იქნა ლაგოდეხის რაიონიდან საკმაოდ ფართო გზატკეცილი, რომელსაც ორივე მხარეს დღესაც კაკლის ხეები მიუყვება.

კახის რაიონის სოფლებია: კახინგილო, ყუმი, ხოსკანი, ყორაღანი, ალიბეგლო (ძვ. სახ. „ქათმის ხევი“), ქოთუქლო, ლექეთი, ვარდიანი, თასმალო, ალიაბათი, თალაში, მესაბაში, ალათემური (ძვ. სახ. „დიდბინა“), მარსანი, ყარამეშა (ძვ. სახ. „შავი ტყე“), ქეშხუთანი (ძვ. სახ. „ქეშგუთანი“), ყიმურლო, ხარაბთალა, ბაღთალა. კაკის „ბინებიდან“ (დამხმარე სამეურნეო ნაკვეთი, ბაზა) წარმომდგარია სოფლები – ყარამეშა, ალათემური, ქეშხუთანი, ბახთალა. ამ სოფლებიდან სოფ. კახ-ინგილოში ქართველები სახლობენ, სოფ. ხოსკანში გამაჰმადიანებული ჯანაშვილები (ხოსკანიც კაკის ბინა ყოფილა თავის დროზე), სოფ. ყუმი – ლეკებითაა დასახლებული. სოფ. ყორაღანში მუდმივად ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობდნენ. შემდეგ მუღალებმა და აზერბაიჯანელებმა მოსახლეობა ისე შეაწუხეს, რომ ქართველმა ქრისტიანმა მოსახლეობამ XX ს-ის 30-იან წლებში საქართველოში გადასახლება მოახერხეს. სოფ. ალიბეგლოშიც უკანასკნელ მომენტამდე (საბჭოთა წყობილების რღვევამდე) ქრისტიანი ქართველები ცხოვრობდნენ. მხოლოდ, ახლა მოსახლეობის უმეტესობა აზერბაიჯანელია. სოფ. ქოთუქლოში საბჭოთა წყობილების დროს 227 ქართული ოჯახი ცხოვრობდა, რომელსაც სკოლაც და ეკლესიაც ჰქონდა. ახლა მდგომარეობა შეცვლილია აზერბაიჯანელების სასარგებლოდ. სოფ. ლექეთშიც ქართული, ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობდა... სოფ. ვარდიანშიც ქართველები ცხოვრობდნენ, თუმცა, XVIII ს-დან სოფელი მუღალებმა დაიკავეს. მოსახლეობა სოფ. თასმალოშიც შეიცვალა, სოფ. ალიაბათი (ძვ. ელისენი) საკმაოდ დიდი სოფელი იყო და არის. აქ ქართველები ცხოვრობდნენ, როგორც ქრისტიანები, ისე მაჰმადიანები. თუმცა, შერეულმა მოსახლეობამ იმძლავრა. სოფ. თალაშში მუღალები ცხოვრობენ. სოფ. ბაღთალა ქართველებმა XX საუკუნის დასაწყისში მიატოვეს და ამჟამად ლეკებითაა დასახლებული. სოფ. ქოთოქლო

ორია, პირველში ქართველები, ხოლო, მეორეში ლეკები ცხოვრობენ. მას ლეკ-ქოთოქლოს უწოდებენ.

კახის რაიონის სოფლებში შემდეგი ქართული გვარებია გავრცელებული: ოთარაშვილი, შიოშვილი, ჯანაშვილი, ყულოშვილი, თაფლოშვილი, დუკაშვილი, ნუროშვილი, ფაჩხატაშვილი, ოქროჯანაშვილი, როსტიაშვილი, საკნელაშვილი, გამახარაშვილი, ბაბაჯანაშვილი, კაშეიშვილი, პაპიაშვილი, ფოლადაშვილი, ბეგიაშვილი, ეპიტაშვილი, აბულაშვილი და სხვ.

ლიტერატურაში და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე ძირითადად ოჯახის ორი ფორმა დასტურდება – დიდი ოჯახი და მცირე, ინდივიდუალური, ანუ ნუკლეარული ოჯახი. დიდ ოჯახს „ათაბაბურ ოჯახი“, ანუ მამაპაპური ოჯახი ეწოდებოდა. ინდივიდუალურ ოჯახს, პირდაპირ „ოჯახი“. გვარი „ინგილოურად“ „გორი“ იყო, ხოლო ოჯახის ნაშიერნი, ანუ შვილები და შვილიშვილები „ბაჭალად“.

როგორც ჩანს, ძველად ქართული სოფლები ფართო ტერიტორიაზე იყო გაშლილი. საკარმიდამოში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების გარდა, ვენახის, ბაღის, ბოსტნის და ზოგჯერ სახნავ-სათესი მამულიც საკარმიდამო ფართობზე იყო. ამიტომ, სოფელი საკმაოდ დიდ მანძილზე იყო გადაჭიმული. სოფ. ყორაღანი, ქოთუქლო, ალათემური, ყანდახი, შოთავარი, ძაგამი, თასმალო და სხვა სოფლები, ერთმანეთის გვერდით არის ჩამწკრივებული და მათ განიერ არხში წყალი მოუჩხრიალებს, ნაპირებს კი თუთისა და კაკლის ხეები ამშვენებს. მოსახლეობას „დარვაზები“ (ჭიშკრები) ლამაზად აქვთ გაფორმებული.[18] ამრიგად, დასახლების ფორმა ამ რეგიონში დასავლურ ქართულს ჰგავდა, თუმცა, აღმოსავლურ ქართული დასახლების ფორმაც გვხვდებოდა, რაც სოფლის გარეთ „ბინების“ ანუ სახნავ-სათესისა და იქვე გამართული სამეურნეო ნაგებობების, ანუ დამხმარე სამეურნეო ბაზას გულისხმობდა. „ბინებში“ ხვნა-თესვის დროს მიდიოდა მოსახლეობა. ძმების ერთი ნაწილი

[18] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997, 141.

თუ დამხმარე ბაზას ემსახურებოდა, მეორენი ძირითად სახლში განაგრძობდნენ მეურნეობას.

ზ. ედილის აზრით, ინგილოთა ცხოვრებაში „ბინებს“ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ისინი თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა. სხვადასხვა ადგილებში იყო გაფანტული და ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებული. „ბინები“ მოსახლეობის მეორე სახლ-კარს წარმოადგენდა. ოჯახებს, რომელთაც ძირითად საცხოვრებლებთან მამული არ ჰყოფნიდათ, ძველად ტყეებს ჩეხავდნენ, ახოებად, ინგილოურად „გამოჭდად“-დ აქცევდნენ, შემდეგ კი ხნავდნენ და თესავდნენ. ბინებში საქონელსაც ინახავდნენ, მათ საკვებსაც. იქვე მართავდნენ ბაღებს, ვენახებსა და ბოსტნებსაც. დიდი ოჯახის მაცხოვრებლები ბინაში რიგრიგობით დადიოდნენ. თუ ძირითად საცხოვრებელში სახნავ-სათესი საკმარისი არ იყო, ოჯახები თანდათანობით სოფელს ტოვებდნენ და ბინაში გადადიოდნენ საცხოვრებლად. ასე შეიქმნა სოფლები – ალიბეგლო, ყორაღანი და სხვა.[19] ზოგჯერ ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების შემთხვევაში, ერთნი „ბინას“ იყოფდნენ, ხოლო მეორენი ძირითადი სახლის სახნავ-სათესს. გაზაფხულზე ოჯახის გარკვეული წევრები დამხმარე ბაზაში მიდიოდნენ, რომ დაემუშავებინათ მიწები და გარკვეული ნაწილი საქონლისა იქვე გამოეკვებათ. ეს სადგომი ადამიანის მუდმივ საცხოვრებელს არ წარმოადგენდა. აქ ბოსელი, საქონლისათვის, თივისა და ჩალის შესანახი და სახნავ-სათესი ჰქონდათ, რომელიც დიდი ოჯახის ერთობლივ მუდმივ მფლობელობაში იყო.

აღმოსავლეთ კახეთის მთის სოფლებში, საცხოვრებლები ერთმანეთზე იყო მიყრილი, რადგან აქ სივიწროვე იყო. ზოგ საცხოვრებელს საკარმიდამო მიწებიც კი არ გააჩნდა, გომური საცხოვრებელზე იყო მიდგმული. ზ. ედილი წერდა, რომ ასეთ სოფლებში უმეტესად დაღესტნური მოსახლეობა დასახლდა – წახურელი ლეკები. მათ სახნავი იარაღები და არც საქონლის გამოსაკვები იალაღები თითქმის არ ჰქონდათ... მათში შინაურ ფრინველსაც ვერ გაეხარა, სოფელში ნაკელის სუნი ტრიალებდა. ასეთ ხეობებში ხშირად ხესაც

[19] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997, 151.

ვერსად ნახავდით. ეს სოფლები უკვე ტიპიური დაღესტნური სოფლები იყო. იქ გადმოსახლებული წახურელი გლეხები ცხოვრობდნენ. ასეთები იყო სარუბაში, სუვგილი, კარკაია, ქალალი, ელისუ, ახგილუ და სხვ. ლეკებმა, რომლებიც ქიზიყის მოსაზღვრედ კავახჩოლსა და ბელაქანში დასახლდნენ, უკვე ბევრი რამ ქართველებისაგან გადაიღეს. მაგ., მატერიალური კულტურის ისეთი ნაგებობა, როგორიცაა „ზროხის სახლი“, რომლის ერდოში, რომელსაც ისინი „აყარს“ უწოდებენ ინახავენ ხორბალს, „ჩალთიკს“ (ბრინჯს), ფეტვს, ჩირს, ბზეს, ჩალას, თივას, ყოველივე იმას, რაც გლეხკაცს ყოველდღიურად სჭირდება.[20]

აყარს „ინგილოები“ მაღალსა და ფართოს აკეთებდნენ, რადგან მას ზამთრისათვის სხვადასხვა საკვების, მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. სახლი შუაცეცხლიანი მიწური იყო, რომლის ბოლი ჭერში ადიოდა და მხოლოდ ნაპრალების დახმარებით გადიოდა საცხოვრებლიდან. ძველად, აღმოსავლეთ კახეთში მიწურ-ბანიანი სახლები სცოდნიათ, რომელსაც „დახალს“ უწოდებდნენ. მოგვიანებით მათ ჯერ ლერწმით დაიწყეს საცხოვრებლების დახურვა. ლერწამს ზემოდან ხავსი ედებოდა, ამის გამო იგი უფრო გამძლე ხდებოდა. მ. ჯანაშვილის მასალებით ეს საცხოვრებლები „სიგრძით 8-20 ადლი, სიგანით 5-10 ადლი იყო. ყველა საცხოვრებელი ერთსართულიანი და ერთოთახიანი, უფანჯრო, უბუხრო, მიწის იატაკიანი იყო, რომელსაც ხშირად სამი კარი უკეთდებოდა. ცეცხლი საცხოვრებლის შუა ადგილზე ენთო, ბოლი „აყარში“ (სხვენში) ადიოდა. სინათლისათვის კარები ზამთარშიც ღია ჰქონდათ. შუა ცეცხლი „ინგილოებისათვის“ წმინდა ადგილი, მეტადრე საპატიო მისი დედაბოძის მხარე იყო. მის გარშემო უფროსობისდა მიხედვით სხდებოდნენ, მარჯვნივ მამაკაცობა და მარცხნივ დედაკაცობა, სულ ბოლოში კი – მომსახურენი და მოჯამაგირენი. კერაზე ცეცხლის გაქრობა ცოდვად ითვლებოდა. ამავე დროს იგი საკუჭნაოდაც იხმარებოდა“...[21]

საცხოვრებლები დეკორატიული ეზოს შუაგულში იდგა, მის უკან ან გვერდით მხარეს „ზროხის სახლს“ მართავდ-

---

[20] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997, 142, 143-144.

[21] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 46.

ნენ. „ზროხის სახლიც“ უფანჯრო, საცხოვრებლის მსგავსი იყო. მის აყარში საქონლისათვის ბზეს, თივას და ჩალას ინახავდნენ.

„საჭმელი საქონელს დიდრონ ნავებში ეძლევა. საქონლის ნაკელი კი ყოველდღე იწმინდება. ეზოს ქვემო მხარეს საქონლის საზაფხულო სადგომი „აღილია“ (ქართი) გაკეთებული. იქვეა დადგმული ურმები, მარხილი, ქოთუქები, აჩეჩა, შეშა და სხვ.[22]

საცხოვრებლის აყარის იატაკი ტალახით იყო გალესილი, რომელზედაც პირდაპირ ყრიდნენ ხორბალსა და ფეტვს, ქერს, „ჩალთუქს“ (ბრინჯს), კაკალს, თხილს, იქვე ინახავდნენ ხმელ შინდს, ქლიავს (ჩურჩ-ქლიავს), ხახვს, ნიორს („ნიგორი“), სიმინდს, ერბოს ქილებით, „ყახაჯს“ (ცხვრისა და ძროხის ხორცის ლორს)...[23]

ძველად საცხოვრებლის ერთ მხარეს საქონლის სადგომი კეთდებოდა, ამ სახლს „მიწიან სახლ“-ს უწოდებდნენ. ერთ მხარეს ადამიანები, ხოლო მეორე მხარეს საქონელი თავსდებოდა. ყველანაირ საცხოვრებელს, გარეთაც აუცილებლად უკეთებდნენ ღია აივანს, რომელშიც მარცვლეულის შესანახი კასრები იდგმებოდა. საცხოვრებლები უმეტესად რიყის ქვებისა და ქვითკირისაგან შენდებოდა. ხის სახლები ამ მხარეში იშვიათი იყო, მას მხოლოდ ბარში თუ შეხვდებოდით. ზ. ედილის მასალებით საცხოვრებლები მართალია, ერთსართულიანი იყო, მაგრამ არაიშვიათად იგი ორი ოთახისაგან იყო შემდგარი. ერთ, ყველაზე დიდ ოთახში დიდი ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო, მეორე „საყონაღედ“ (სასტუმროდ) იყო გამოყენებული. საცხოვრებლები უფანჯრო მიწური იყო, მას პატარა სარკმლები ჰქონდა დატანებული, რომელიც ზამთარში იკეტებოდა. კარები კი ზამთარ-ზაფხულ მუდმივად ღია ჰქონდათ, რადგან შუაცეცხლის – („ირთაოუად“) ბოლი უმეტესად იქიდან გადიოდა.[24]

ეთნოგრაფიული მასალებით, საკარმიდამოს დასახლების ფორმა დასავლურ ქართულ წესზე ჰქონდათ მოწყობი-

---

[22] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 48.
[23] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 49.
[24] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997, 144-145.

ლი. წინა ეზო, მოვლილი და გამწვანებული იყო, მრავალწლიანი დეკორატიული მცენარეებით. ამ მცენარეებზე მაღლარი ვენახიც ჰქონდათ გაშვებული. სახლის მახლობლად საჩრდილობელ ტალავერსაც მართავდნენ. სახლის წინა ეზოში, რომელიმე დეკორატიული ხის ქვეშ დასავლეთ საქართველოს მსგავს, „ღია ცის ქვეშ“ მარანს – „ქევრევ“, ზედაშეებისათვის („დადაშად“[25]) მართავდნენ. ქვევრებს, რომელიც მიწაში იყო ჩაყრილი, ბრტყელი ქვის სარქველებს უკეთებდნენ, რომელსაც გარშემო თიხას მოადებდნენ და შემდეგ ზემოდან ბლომად მიწას აყრიდნენ. მიწაზე წალამსაც აწყობდნენ, რომ „დადაშად“-ს ადგილი გამოსაჩენი ყოფილიყო. მ. ჯანაშვილი ასე აღწერს მარანს – „სახლის წინა ეზოში ჩარგულია ქვევრები – „ქოცოები“ (ჭურები) და საპირედ მას თავშავასაგან გაკეთებულ რგოლს უკეთებენ, შემდეგ სიპ (ბრტყელ) ქვას დაადებენ, და ზედ ბევრ მიწას აყრიან. ზამთრის სუსხში ზედ ფიჩხს ანუ წალმის კონებს დააყრიან“.[26]

ეზოს წინ და უკან ვენახი („მენაკი“), „ბაღჩა“ (ფურცლის ბაღი – თუთის პარკის ჭიისათვის), თხილნარი, „დილლიგი“ (ბოსტანი) და საბალახე „ყოროღი“ (ყორუღი) ხბორების, შესაბმელი საქონლისა და ცხენებისათვის სადგომი იმართებოდა. ვენახი და ბაღჩა „სრელებად“ იყო დაყოფილი, რომელთა შუა ვარდის, კიტრის და „ფაყლის“ (ლობიოს) „ჯერგებს“ ნახავთ. თხილის ბუჩქები რიგზეა ჩამწკრივებული. ბაღჩე-ვენახი ხეხილით არის სავსე... ეზოზე შემოვლებულ ღობეში მრავალი ხეა ჩარგული – იფანი, თელა, კაკალი და სხვ., რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ჭიგოდ იკაფება.[27]

ზ. ედილის აღწერილობით – საცხოვრებელში არც ტახტი და არც მაგიდა არ ჰქონდათ. „ინგილოებს“ მიწაზე ეძინათ. მათ ლოგინს „ჯეჯიმები“ შეადგენდნენ, რომლებსაც ქვემოთ მოთელილი სქელი ნაბადი ჰქონდა გამოკრული. ჯეჯიმი ლამაზი და ათასფერად დახარატებული იყო, რომელთაც ზოგს

---

[25] ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, 65.
[26] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 48.
[27] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 50.

ქვეშ იგებდნენ, ზოგსაც ზემოდან იხურავდნენ. მოგვიანებით მატყლის ბალიშის გამოყენება დაიწყეს, რომელსაც „სასთულს“ უწოდებდნენ[28]. როგორც ჩანს, მთხრობელების გადმოცემით, „ისინი ჯეჯიმებზე სადილობდნენ კიდეც. დაბლა ჯეჯიმებს აგებდნენ და ზედ ხონჩით საკვებს მოათავსებდნენ. თავადაც ამავე ჯეჯიმებზე სხდებოდნენ. საინტერესოა ისიც, რომ „ინგილოები“ ზოგადად ოჯახისა და საცხოვრებელი ნივთების ერთიანობას – „არადეგრადს“[29] უწოდებდნენ. როგორც უკვე აღინიშნა „ინგილოებმა“ ქალისა და მამაკაცის მხარეების გარჩევაც იცოდნენ. სხვა კუთხის ქართველების მსგავსად შუაცეცხლის მარჯვენა მხარე მამაკაცების, ხოლო მარცხენა ქალების იყო. მამაკაცებისათვის ჯეჯიმი მარჯვენა მხარეზე იშლებოდა, როდესაც ისინი ჭამას მოათავებდნენ, შემდეგ ქალებისთვის, შუაცეცხლის მარცხენა მხარეს ჯეჯიმი იშლებოდა. როგორც ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით, ისე ზ. ედილისა და მ. ჯანაშვილის ცნობებით, საცხოვრებელში ჭურჭელსა და ჯეჯიმებს თავისი ადგილი ჰქონდა. აღმოსავლეთით კედელთან თაროები იყო დატანებული, სადაც ჯამ-ჭურჭელი ინახებოდა.

მ. ჯანაშვილი და ზ. ედილი ამ თახჩას „კორთეს“ უწოდებენ. ოჯახის მთავარი სიმდიდრე – სპილენძის ჯამ-ჭურჭელი სწორედ აქ ინახებოდა. ძველად ორ ფიცარს კედელზე ირიბად მიამაგრებდნენ ერთმანეთთან და სწორედ ამას უწოდებდნენ „კორთეს“. აქ ინახებოდა „სადღობლები“, თუნგები, რძისა და დოს ქოთნები და სხვ. დედაბოძის ზურგის მხარეს ვარცლი იდო, რომელშიაც პური (შოთები) ინახებოდა. დედაბოძის მარცხენა კედელთან დიდი „საკანი“ (ბეღელი) იდგა, რომელშიც ფქვილის, მარილის „კასრს“ და სხვა კასრებს ინახავდნენ. მარჯვენა კედლის გასწვრივ „დირაზედ“ სკივრები ეწყო, რომელშიაც ტანსაცმელი და ძაფი ინახებოდა. გვერდზე კი ლამაზად დაკეცილი ჯეჯიმები თუ „ეიეიმები“, „ვერღნები“ (სა-ბნები) იდო. აქ სხვადასხვა იარაღიც ინახებოდა. დიდი სახლის დედაბოძზე თარო კეთდებოდა, რომელზედაც „წმინდა კიდობანი“ ანუ „საბაზმოდ“

---

[28] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997, 147-148.

[29] ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, 25.

(ე.ი. ბაზმის – ნიგვზის ზეთის) ადგილი იყო. „წმინდა კიდობანი“ მეტად პატარა იყო, მაგრამ იგი ოჯახის სიწმინდედ ითვლებოდა. იქ ინახებოდა სანთელი, საკმელი, ბამბა, ცვილი. კიდობანს ოჯახის უხუცესის – „დიდ“-ის მეტი ვერავინ ახლებდა ხელს. ახალწლისათვის და აღდგომისთვის უხუცესი კიდობანს ჩამოიღებდა, ბამბასა და ცვილს ოჯახის დიასახლისს („ბებად“) გადასცემდა სანთლის ჩამოსაქნელად.[30]

ეზოს ერთ მხარეს თონე იყო მოწყობილი, რომელსაც ბოძებზე გადახურვა და მხოლოდ უკანა კედელი ჰქონდა. ქათმები ზამთარ-ზაფხულ უკანა ეზოს ღობეებში მდგარ ხეებზე ბუდობდნენ. სახლს წინ და უკან ღია აივნები ჰქონდათ, რომელზეც „ნეჭებს“ ინახავდნენ. ნეჭები სქლად ხმელი და გრძელი ნამჯისაგან იყო დაწნილი, თუთის ხის ქერქით. ნეჭა ორი კაცის სიგრძე მაინც იქნებოდა. ქვეშაგების გაშლის დროს ჯერ მას შლიდნენ. მისი ნახევარი დაკეცილად რჩებოდა და მუთაქის მაგივრობას ეწეოდა.[31]

თონის გადახურვასა და საქონლისათვის საზაფხულო შემოფარგლულ ადგილს ერთი და იგივე ტერმინით „ალთიაჩულ“[32] მოიხსენიებდნენ, თუმცა, საქონლისათვის შემოფარგლული ადგილისათვის ტერმინ „აღილ“-საც[33] ხმარობდნენ.

საკარმიდამოს ე.ი. მთელ შიდა და გარე სახლ-კარს „ინგილოები“ „შინავროვად“-ს ტერმინით მოიხსენიებენ, რომელიც გარედან უმეტესად ქვითკირის – „ბარუდ“-თ – ღობით იყო შემოვლებული. იქ, სადაც ქვა ძნელად იშოვებოდა, მჭიდრო და მაღალ ფიჩხის ღობეს აკეთებდნენ.

საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობები თავისი ეზოკარმიდამოს მიწებით, „ბინებით“ და ყველანაირი საკუთრებით ერთი დიდი ოჯახის საერთო მფლობელობაში იყო. ოჯახში რამდენიმე თაობის ძმებისა და ბიძაშვილების ერ-

---

30 მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 47; ზ. ედილი, საინგილო. თბ., 1997, 147-148.

31 მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 47; ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997, 148.

32 ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, 22.

33 ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, 28.

თიანობა იყრიდა თავს. ყველანი ერთი „დიდი სახლის“, ანუ ერთი „დიდი ოჯახის“ წევრები (მამაკაცები) იყვნენ და საკუთრება, რომელსაც ფლობდნენ, ყველას თანაბრად ეკუთვნოდა. ოჯახის წევრებიდან, წლის ყველა პერიოდში, როგორც უფროსები, ისე ახალგაზრდები, ყველა თავისი ფუნქციით იყო დაკავებული.

დიდი ოჯახის შემადგენლობისა და ოჯახის ფორმათა შესახებ მასალა სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში არსებობს. მაგრამ, საინტერესოა ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის შემდეგ XIX საუკუნის ბოლომდე „ინგილოთა“ ოჯახების უმეტესობა გაუყრელად ცხოვრების ტენდენციას ინარჩუნებდა. თავისთავად ცხადია, რომ არასტაბილური მხარის გათვალისწინებით, სულადობის თვალსაზრისით, მცირედან მრავალსულიანი ოჯახების თანაფარდობა მერყეობდა. მთავარი მიზეზი მოსახლეობისათვის „შიშიანობა“, ე.ი. მტრის მუდმივი თარეში და თავდასხმები იყო.

ცნობილია, რომ დიდი ოჯახი საზოგადოებრივი თვალსაზრისით ეკონომიკურად უფრო ძლიერი იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში გაუყრელობის მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ მამაკაცებს თავიანთი ოჯახები მტრისაგან დაეცვათ. გაუყრელი ოჯახები, უფრო კარგად უმკლავდებოდნენ უცხო ურდოებისა თუ კავკასიელი მთიელი ლეკების თავდასხმებს. თუმცა, მტერი უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა, ნაწილს ხოცავდა, ნაწილს მონებად ჰყიდდა და ნაწილს კი უცხო ქვეყანაში გადასასახლებლად ადვილად იმეტებდა. მაგრამ, დიდი ოჯახები რომ არსებობდა, მრავალი ტერმინოლოგიური გამონათქვამი მიუთითებს ამაზე – „ათაბაბურ ოჯახი“ (ანუ მამაპაპური ოჯახი); „დუდრუანევ“ ოჯახის უხუცესების, მეთაურები; „თარაფბასანოვად“ – ანუ ბიძაშვილობა; „თოხუმ“ – როგორც ჩანს, პატრონიმია; „ყაუმ“ – ნათესავი, მოყვარე, მო-კეთე; „ყაუმოვად“ – ნათესაობა, მოყვრობა და ა.შ. ეს ტერმინები ძირით ქართული იყო, მაგრამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ენების (ყიზილბაშური, სპარსული, თათრული, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური) გავლენას განიცდიდნენ, ადგილობრივმა ქართველებმა, საუკუნეების

მანძილზე, სხვადასხვა დროს მათი თავდასხმა, თარეში და რელიგიური თუ ენობრივი ზეწოლა განიცადეს.

ერთიანი დიდი ოჯახის მეთაურად და წინამძღოლად ოჯახის უხუცესი „დიდ“ ითვლებოდა, რომელსაც საქმეში გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი, ხოლო ჭკუა-გონებითაც გამოირჩეოდა. მისი ავტორიტეტი ოჯახის ყველა წევრსა და სოფელშიც მაღალი იყო. ოჯახის უფროსი ითვლებოდა მეურვედ, მოამაგედ, მზრუნველად, გულშემატივრად და, რაც მთავარია, ყველას მრჩევლად. ასეთი „დიდ“-ი ყველა ოჯახს ედგა სათავეში. დიდი ოჯახი, რომ მართლაც არსებობდა, ამის დამადასტურებელ საბუთად უნდა მივიჩნიოთ ტერმინი „დიდო ჟაღევ“[34], რაც „წმინდა დიდი ოჯახის“ გამომხატველი იყო.

გვიან შუა საუკუნეებში მტრის მრავალრიცხოვნობის გამო, სულადობრივად გამრავლებული ოჯახები მცირე იყო, მაგრამ, მტრის შიშით რომ ისინი გაუყრელად განაგრძობდნენ ცხოვრებას, მრავალი მთხრობელი გვიდასტურებდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ კახელებში „შუაცეცხლის გაუქრობლად“, მუდმივად შენახვა და მისი მიტოვება არ ჰქონდათ ჩვეულებად, თარეშითა და მტრის თავდასხმებისაგან შეწუხებული და შევიწროვებული ქართველობა, ხშირად თავის მუდმივ საცხოვრებელს ტოვებდა და მომიჯნავე ქართულ რეგიონში გადადიოდა სამოსახლოდ.

ზ. ედილის მასალებით „ხშირად შეხვდებოდით, აუშენებიათ ახალი სახლი, მშვენიერი ბაღ-ვენახით და კარგად მოვლილი, მაგრამ, საუბედუროდ, ეს მეკომური სრულიად ამოუწყვეტიათ და მისი კარმიდამო, მამული ვენახიანად ვერანად ქცეულა...[35]

როგორც ჩანს, *მაჭუტაძეთა* გვარი თავის დროზე, მაჭის ხეობასა და მდ. მაჭთან უნდა ყოფილიყო დაკავშირე-ბული. მთხრობელების ვარაუდით ისინი მაჭის ერისთავები ყოფილან, შემდეგ ლეკების ფართო მებატონურმა პრეტენზიებმა და ქართველების სოციალური მდგომარეობის გაუარესებამ,

---

[34] ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978, 84.
[35] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1997, 179.

მაჭის ხეობიდან აყარა და როგორც ჩანს, მათი საგვარეულო დასავლეთ საქართველოში ჩასახლდა.

„საინგილოში“ გაბატონებული კლასის საგრძნობმა ნაწილმა მუსლიმანობის მიღებით ნაწილობრივ შეინარჩუნა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა. ამ ნაწილს შეუერთდა XVIII საუკუნის II ნახევრიდან ის ლეკური ფენა, რომელსაც პრეტენზია გაუჩნდა ბატონობაზე და მკვიდრი საკუთარი საცხოვრებლიდან განდევნილი ფეოდალთა მიწები ჩაიგდეს ხელში. ამ გარემოებამ „საინგილოში“ სოციალური ურთიერთობა მეტად სპეციფიკური გახადა, რაც თავს, პირველ ყოვლისა, სოფელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის განსხვავებულობაში, მიწისმფლობელობის თავისებურ წესში იჩენდა.

მართალია, ბევრი ვაჩნაძეების გვარის ჩამომავალი გამუსლიმდა და ცნობილი გალაჯევის სახელით გახდა, მაგრამ ამავე დროს ძალიან ბევრი ვაჩნაძე შიდა კახეთსა და ქართლშიც გადმოსახლდა. ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მუხრანსკის, ერისთავის (გამუსულმანების შემდეგ ნასტალგოვები), ჭავჭავაძისა და სხვა გვარები. „საინგილოში“ ქართველი თავადაზნაურობის არსებობა XIX ს-შიც კი, მეფის მთავრობისათვის მიუღებელი იყო, ამიტომ ისინი ვინც გამუსულმანებული არ იყო, სოციალურად მათი „თავადიშვილობის“ შენარჩუნებაზე გალეკების გარეშე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ამ გვარების წარმომადგენლები ტოვებდნენ საკუთარ მამულებს და საცხოვრებლად უსაფრთხო ადგილებზე გადადიოდნენ.[36]

დიდი ოჯახის წევრები – ძმები, ბიძები, ბიძაშვილები და ოჯახის სხვა წევრები, როგორც ერთიანი ქონების, ისე, მ. ჯანაშვილის თვალსაზრისით, წლიური შემოსავლის მესაკუთრენიც იყვნენ. მაგრამ თუ ოჯახში ქვრივი დედაკაცი ჰყავდათ ან უშვილო, იმასაც წლიურ წილზე უფლება ეკუთვნოდა, როგორც მამათა სქესის ყოველ წევრს. ამ კანონს ემორჩილებოდა აბრეშუმის შემოსავალიც. მისი გაყიდვით შეძენილი ფული – „ხაიათი“, „დომფალი“, „ყაქი“ შემდეგნა-

---

[36] მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953, 48-62, 81-88 და სხვ.

ირად იყოფოდა. უფროსი დიასახლისი, რომლის გამგებლობასა და მორჩილებაში იმყოფებოდნენ ქალები, რძლებს მოიწვევდა და წევრთა შორის ოჯახის შინაურ საქმეებს თანაბრად გაანაწილებდა.[37] ოჯახის უხუცესი ქალის მოვალეობა იყო მთელი წლის საკვების განაწილებაც. მის ხელში იყო მარცვლეული და სხვა სურსათ-სანოვაგე, რომელიც ისე უნდა გაენაწილებინა, რომ ოჯახს დანაკლისი არ ეგრძნო. მისი დამხმარე იყო უფროსი ვაჟის ცოლი, რძალი, რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ იგი უნდა შეეცვალა და მთელი საქმიანობა გადაებარებინა. უფროსი დიასახლისი ანაწილებდა რძლებს შორის სამუშაოსაც. „ინგილო“ ქალები ოჯახისათვის თავდადებულნი იყვნენ. ისინი უვლიდნენ სახლს, ბოსტანს, მეაბრეშუმეობას, ანუ „ნუგნობას“ მისდევდნენ. შალსა და ჯეჯიმს ქსოვდნენ, საქონელს უვლიდნენ, ყველი ამოყავდათ და კარაქს დღვებდნენ, ბავშვებს უვლიდნენ და სისუფთავეს იცავდნენ. ისინი რიგის მიხედვით მიდიოდნენ „ბინებში“ და იქაურ „სადედაკაცო“ საქმეებსაც აგვარებდნენ. „ინგილო“ ქალები არაქართველ მამაკაცებს არ მიყვებოდნენ ცოლად, კერძოდ ლეკებსა და თათრებს, მაგრამ არც ქართველი მამაკაცები თხოულობდნენ თათარსა და ლეკს.

ფეხმძიმე ქალი მოსამშობიერებლად უმეტესად ბოსელში, „ზროხის სახლში“ გადადიოდა. იგი იქ ჯეჯიმს მიწაზე ან ჩალაზე გაშლიდა და ისე მოილოგინებდა ბებია ქალის დახმარებით, რომელიც სოფელში ჰყავდათ. ბავშვის გაჩენის შემდეგ ორმოცი დღის მანძილზე ქალი კვლავ „ზროხის სახლში“ რჩებოდა. იგი ამ პერიოდის მანძილზე უწმინდურ არსებად ითვლებოდა. საჭმელი მასთან ოჯახის სხვა რძლებს ან დედამთილს მიჰქონდა და კართან უდებდა. მ. ჯანაშვილის მასალებით, იგი ვერც „ცომს მოზელდა“, ვერც „საკმელს ჩაყრიდა“ და ვერც „საყდრებს ინახულე-ბდა“. ამიტომ, მასთან მხოლოდ ტოლ-ამხანაგები და ნათესავი დედაკაცები მიდიოდნენ. კარზე ჩამოსხდებოდნენ, ხორაგს კართან დაუდებდნენ. მელოგინეს ჯამ-ჭურჭელს მისივე „ზროხის სახლიდან“ არ გამოიტანდნენ გასარეცხად და სხვა ჭურჭელში ვერ აურევდნენ, ეს ჭურჭე-

[37] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 80.

ლი კორთეზე 40 დღემდე ვერ მოხვდებოდა.[38] ბებია ქალს აუცილებლად და-ასაჩუქრებდნენ ერთი მანეთითა და ბატკნით. „ინგილოებში“ მხოლოდ ვაჟიშვილი იყო „შულ“ ე.ი. შვილი და ვაჟიშვილის შვილი „შულისშულ“. ქალიშვილი შვილად არ ითვლებოდა. ალექსანდრა ჩხენკელის მონაცემებითაც – ძველად „ინგილო“ ქალი მამაკაცს ვერ დაელაპარაკებოდა. ვერც დედამთილ-მამამთილს გასცემდა ხმას. ქალი მამაკაცებთან ერთად სუფრას ვერ მიუჯდებოდა. მშობიარეს ბოსელში ათავსებდნენ, როგორც უწმინდურ არსებას. ბავშვის დაბადების შემდეგ კი ექვსი კვირის განმავლობაში იქვე რჩებოდა. თივაზე წვებოდა დასაძინებლად და თავქვეშ კუნძი ედო.[39]

საკაცებო საქმეს თავს ართმევდა ოჯახის უხუცესი, მაგრამ ჭკვიანი და მოხერხებული მამაკაცი. იგი ანაწილებდა მამაკაცებში სამუშაოს. ყოველთვის ცდილობდა, რომ ძმას, ან შვილს თუ ბიძაშვილს, რომელს რა საქმე უფრო ეხერხებოდა იმის მიხედვით გაენაწილებინა სამუშაო. მწყემსად უფრო ახალგაზრდებს ამწესებდნენ, მაგრამ ერთ გამოცდილ ასაკოვან მწყემსს მათაც მიუჩენდნენ. მთესველი და მიწის მხვნელი გამოცდილი ღონიერი მამაკაცი უნდა ყოფილიყო. თავდაცვის მიზნით ოჯახში ასევე ისეთ მამაკაცს ტოვებდნენ, რომელსაც ღონეც ერჩოდა და მოხერხების უნარიც ჰქონდა. ამრიგად, ოჯახის მმართველობა საბოლოოდ მაინც მამაკაცების ხელში რჩებოდა, რომლთა უფლებები ყველა წევრისათვის სრულიად გარკვეული იყო. მათი უფლებები საოჯახო ცხოვრების გადაწყვეტილების მიღებისას ვლინდებოდა. რაც მთავარია, საზოგადოებაში ოჯახის სახელით მხოლოდ უფროს მამაკაცს შეეძლო პასუხის გაცემა. საოჯახო საერთო საკუთრების განმკარგავი ის იყო. სხვა მამაკაცები ოჯახის გარეთ თუ საოჯახო საქმეებში ყველა თანაბრად იღებდა მონაწილეობას. ამავე დროს სრულწლოვანი ვაჟიშვილის დაქორწინება თუ ქალის გათხოვება მისი სურვილისა და თანხმობის გარეშე ვერ გადაწყდებოდა, თუმცა, იგი შვილების სურვილსა და მათ ნებას არ ეწინააღმდეგებოდა. საზოგა-

---

[38] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 82.

[39] ალექსანდრა ჩხენკელი, მზიან საინგილოში, თბ., 1957, 46, 55.

დოების წინაშე თავისი ოჯახის წევრების მაგიერ პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა. ამრიგად, შიგნით ოჯახში სამამაკაცო საქმეებზე მამაკაცები იყვნენ პასუხისმგებელნი, ხოლო საქალებო საქმეებზე – ქალები.

რაც შეეხება, ოჯახში მამაკაცებისა და ქალების უფლებებს, განსხვავებული იყო. რძლები მთელი სიცოცხლის მანძილზე მორიდებულნი იყვნენ, როგორც ოჯახის უხუცეს მამაკაცთან, რომელთანაც საუბარი აკრძალული ჰქონდათ, ასევე უფროს მაზლებთან. არც ქონებრივ საკითხებში იყო მათი უფლებები თანასწორი. ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების შემთხვევაში, ქალებს საერთო ქონებიდან წილი არ ერგებოდათ. ქონება უფროსი თაობის ძმებს შორის იყოფოდა. ცოცხალი უხუცესის შემთხვევაში ოჯახში გაყრასა და ქონების განაწილებაზე, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ლაპარაკი სირცხვილი იყო.

გაყრის მომენტში, ოჯახი პატიოსან, გამორჩეულ და წარჩინებულ უხუცესებს მოიწვევდნენ. ისინი ქონების გაყოფაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ერეოდნენ, თუ ეს საჭირო გახდებოდა, თუმცა ქონების გაყოფას თვალს ადევნებდნენ. სახნავი მიწა, საცხოვრებლები, სამეურნეო ნაგებობები, „ბინეები“, საქონელი და სხვა ძირითადი ქონება თანაბრად ძმაზე იყოფოდა. წლის მოსავალი – მარცვლეული, ღვინო და სხვ. ე.ი. წლიური სარჩო სულზე იყოფოდა. მაგრამ, თუ ოჯახში ორსული ქალი იყო, მაშინ მისთვის ორ წილ სარჩოს გამოყოფდნენ. თუ რომელიმე ძმას ქალიშვილი გაუთხოვარი ჰყავდა, მზითვისთვის ფულს ან საქონელს გამოყოფდნენ. ასევე დააკმაყოფილებდნენ დაუქორწინებელ ძმასაც, გარდა საერთო წილისა, „საქორწილო“ წილით, რომელიც ასევე ფულით ან საქონლით გამოიხატებოდა. ოჯახის ქალები უძრავი ქონების გაყოფაში არ მონაწილეობდნენ. დიდი სახლი ძველად, უმეტესად უფროს ძმას რჩებოდა. გაყრამდე ცალკეული ძმისათვის, გამოყოფილ ტერიტორიაზე, საერთო ძალებით საცხოვრებელ ნაგებობებს აგებდნენ ან გაყრის დროს თითოეული მათგანი საქონლით კმაყოფილდებოდა. ძმათა ცოლების მზითევს ჯეჯიმები მოყვებოდა. ისინი მათ საკუთრებას წარმოადგენდა და ამიტომ, ყველას თავისი მოტანილი ჯეჯიმი მიჰქონდა, მზითევთან ერთად. თუ რომელიმე ძმის ცოლს, ქმრის ოჯახში ძროხა ან

ფურ-კამეჩი ჰყავდა მოყოლილი, ასევე ქორწილში ნაჩუქარი ფული ჰქონდა გასესხებული, გაყოფის დროს ეს ქონება გათვალისწინებული არ იყო, რადგან იგი ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა.

XX საუკუნის დასაწყისში გაყრა და ქონების განაწილება დედ-მამის სიცოცხლეშიც ხდებოდა. ამიტომ, ძირ-სახლში დაუქორწინებელი უმცროსი ვაჟი და მასთან ერთად დედ-მამა რჩებოდა. მართალია, დედ-მამას უძრავი ქონებიდან წილი არ ეკუთვნოდა, თუმცა, მათ ჭურჭელს, მეწველ ძროხას, იარაღს, ჯეჯიმებსა და სხვა პირად ნივთებს აძლევდნენ. სანამ ისინი ცოცხლები იყვნენ, ამ ნივთებს ისინი ხმარობდნენ, სიკვდილის შემდეგ კი უმცროს ძმას, ვისთანაც ისინი ბოლო ხანს ცხოვრობდნენ და ვინც ისინი დაასაფლავა, მას რჩებოდა.[40] თუ გაყრისა და ქონების განაწილების მომენტში იმ თაობის მოწილე მამაკაცი, რომელზედაც ქონება იყოფოდა, ცოცხალი აღარ იყო და მას ვაჟიშვილი არ ჰყავდა, მისი ქონება თანაბრად ნაწილდებოდა ცოცხალ ძმებს შორის. ქვრივი და ქალიშვილი, რომელიმე ძმასთან გადადიოდა საცხოვრებლად, რომელიც მეურვე ხდებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც მზითვის გათვალისწინება წინასწარ ხდებოდა. ქვრივს შეეძლო თავისი მოტანილი მზითვი გაეტანებინა შვილისთვის, მაგრამ ძმები მამის ქონებიდან სამზითვოს რაიმეს მაინც მისცემდნენ.

ცოლ-ქმრის გაყრის მაგალითები ვერ დავაფიქსირეთ. იგი მძიმე დანაშაულად აღიქმებოდა, რადგან ცოლ-ქმრის გაყრის საფუძველი მხოლოდ ღალატი თუ ხდებოდა, რაც მთხრობლების გადმოცემით იშვიათი მოვლენა იყო.

ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ, რომ „ინგილოები“ ტრადიციულ საოჯახო ნორმებს კარგად იცავდნენ. დიდი პატივისცემით სარგებლობდა ოჯახის უხუცესი წევრი. იგი გარდა იმისა, რომ ოჯახს მეთაურობდა, საოჯახო კულტის მსახურიც იყო. ოჯახში სქესსა და ასაკს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალებს საქალებო საქმეები ევალებოდათ, ხოლო მამაკაცებს მამაკაცური. მაგრამ ქალები ჩვეულებრივ სამამაკაცო საქმეებშიც ეხმარებოდნენ მათ.

---

[40] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 132-133.

7-8 წლის მოზარდი (როგორც გოგი, ისე ბიჭი) უკვე მშობლებს ეხმარებოდა და სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდა. მამას თავისი ვაჟი თან დაჰყავდა ყველა სხვადასხვა სამუშაოზე და, რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერს ასწავლიდა. ასეთივე წესით მოზრდილი გოგონები დედებთან და ბებიასთან სადიაცო საქმეს და სხვადასხვა ხელობას (ქსოვას, კერვას, ქარგვას) ეუფლებოდნენ. მათ კარგად უნდა სცოდნოდათ ძაფის დართვა, წინდის ქსოვა, კერვა და სხვ. უფრო მოზრდილ ყმაწვილებს (8-9 წლისა) „ზროხის ნაბათზე“ აგზავნიდნენ, რომლებიც ასიოდე საქონელს დილიდან საღამომდე მწყემსავდნენ. „ზროხის ნაბათი“ ე.ი. უბნის საქონელი ერთ ნახირად გადიოდა საძოვარზე და ჩვეულებრივ მეკომურთა შორის რიგი წესდებოდა. სწორედ ამას ეწოდებოდა „ზროხის ნაბათი“. რაც შეეხება მკასა და ხვნას ვაჟი უკვე 14-15 წლიდან იწყებდა.[41]

ქალი ოჯახისათვის თავდადებული იყო. იგი სახლს, ბავშვებს, ბოსტანს უვლიდა. მეაბრეშუმეობას ანუ „ნუგნობას“ მისდევდა. შალსა და ჯეჯიმს ქსოვდა, ნაბადს თელავდა, საქონელს უვლიდა, ყველი ამოყავდა, კარაქს დღვებდა, შინაურ ფრინველს უვლიდა და, რაც მთავარია, სისუფთავეს იცავდა. „ბინაში“ ცხენით მიდიოდა და იქაც „სადედაკაცო“ საქმეს აკეთებდა.

ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, კერიის ახლოს ყველას თავისი განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კერიის მარჯვენა მხარე სამამაკაცო იყო, ხოლო მარცხენა სადედაკაცო. კერა წმინდა ადგილი იყო და მისი საკულტო მნიშვნელობა იმითაც გამოიხატებოდა, რომ პატარძალს აუცილებლად პირველად კერას შემოატარებდნენ, დალოცავდნენ და ამით ოჯახის კულტს „აზიარებდნენ“. მიუხედავად იმისა, რომ „ინგილოები“ ეკლესიაში დადიოდნენ, მათთვის საოჯახო საკულტო დღესასწაულები ოჯახშიც იმართებოდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალი წლის ღამეს ოჯახის უფროსი და მისი ცოლი, მძინარე ოჯახის წევრებს ჩამოუვლიდნენ, ახალდართულ ბამბის ძაფს მაჯაზე მოაბამდნენ. ასეთ ძაფს ისინი სახლის დედა-

---

[41] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 86-87.

ბოძს კორთეს და სხვა ნივთებსაც აბამდნენ, რომლის მოხსნა სამი დღის მანძილზე არ შეიძლებოდა. დილით ოჯახის უხუცესი, ჩუმად გაიპარებოდა სახლიდან „თიხის ჩაფით“ ხელში, რომ წყაროდან წყალი მოეტანა. იქვე დაიბანდა პირს, მოამტვრევდა თხილის ტოტებს და სახლში მოიტანდა. წყალს კორთეში დადგამდა, ხოლო ტოტებს ხისგან გაკეთებულ სკივრებზე („ბეღელი“) დააწყობდა, სადაც ფქვილისა და ხორბლის მარაგი ინახებოდა. მარცვალს ამოიღებდა და ყველა კუთხე კუნჭულში დაყრიდა, რომ ბარაქიანი წელი ჰქონოდათ. შემდეგ ხონჩას გაამზადებდა, ზედ დააწყობდა საკვებსა და სასმელს და ოჯახის წევრებთან ერთად ვენახში, ბოსტანში, საქონელთან და სხვ. ადგილებში სალოცავად მიდიოდა.

მ. ჯანაშვილის მასალებით ოჯახის მეთაური ოჯახის წევრებთან ერთად ვაზს გასხლავდა, ააგებდა, ჭიგოებს ჩაარჭობდა, ნიადაგს ღვინით მოალბობდა. ვაზის ძირში მამალს დაკლავდა, მის ფრთებს ბამბის ძაფით ჭიგოსა და ვაზზე მიაკრავდა და დაილოცებდა.[42]

წინა დღეს ოჯახის უფროსი დიასახლისი პურებს დააცხობდა – წალდის ფორმის პურს ოჯახის უფროსისათვის, ნამგლის ფორმისას – ვაჟიშვილებისათვის, ჯარას ფორმისას – ქალიშვილებისათვის. საქონელს კვერებს („კოკორებს“) უხარშავდა. სახლის სხვენზეც კვერებს შეაგდებდნენ, საქონელს კვერს ჯერ რქებზე ჩამოაცვამდნენ და შემდეგ კი შეაჭმევდნენ. ჩამოხსნიდნენ „ჭიჭინაგურსა“ და ძეხვს, რომელიც ახალი წლისთვისაც კეთდებოდა. აღდგომასა და სხვა საეკლესიო მართლმადიდებლურ დღესასწაულებზე ოჯახი ეკლესიაში ერთად მიდიოდა. საკლავს, რომელსაც მღვდელი ქოჩორს ანთებული სანთლით უტრუსავდა, კლავდნენ.

საოჯახო დღესასწაულებში „უმძრახობის დღეც“ იგულისხმებოდა, რომელიც ხუთშაბათ დღეს მოდიოდა. იგი აბრეშუმის ჭიასთან იყო დაკავშირებული და დილით, უმძრახად ჭიის ლასტებს ხეებზე უკაკუნებდნენ. მაისის პირველ დღეებში საღვთოს კლავდნენ, რომ ბრინჯის და სხვა მარცვლეულის, ლობიოს კარგი მოსავალი ჰქონოდათ.

---

[42] მ.ბ. ჯანაშვილი, საინგილო, თბ., 1913, 130.

რით არსებობდა „ინგილოს“ ოჯახი? მის საოჯახო მეურნეობას შეადგენდა მეხილეობა, მემარცვლეობა (მოჰყავდათ ბრინჯი, ხორბალი, ფეტვი), მისდევდნენ მეაბრეშუმეობას, მესაქონლეობას, მეთამბაქოეობას. ბოსტანში („დილლიგი“) მწვანილი, ლობიო („ყაფლი“) და სხვა ბოსტნეული მოჰყავდათ. ეზოში აუცილებლად წყლის არხებს („ჩადარღანა“) აკეთებდნენ, რომელიც სახნავ-სათესსა და ხეებს რწყავდა. ყველა სოფელში ჰქონდათ წყლის წისქვილი და „დინგიდინგი“, რომლითაც ბრინჯს ცეხვავდნენ.

ამრიგად, ქართული მოსახლეობა, რომელიც დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობს, დღეს თავის თავს „ჰერელებს“ უწოდებს. ჰერეთის ქართული მოსახლეობა, თავისთავად ცხადია, რომ იმიგრანტები არ არიან. თუმცა, ჩვენი აზრით აუცილებელია ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის შესწავლა. უნდა გამოვლინდეს ის საკითხები, რომელიც იქ მაცხოვრებელ ქართველებს აწუხებთ. სამწუხაროდ, ჩვენ მიერ მასალა ფარულად იყო მოპოვებული. უნდა დაისვას საკითხი, რომ აუცილებელი და მნიშვნელოვანი პრობლემა თანამედროვე „ინგილოების“ საზოგადოების სოციოკულტურული ასპექტების შესწავლა უკვე სხვა სახელმწიფოში ღიად იქნეს შესწავლილი. თავისთავად ცხადია, რომ ქართველები არ ერწყმიან აზერბაიჯანელებს და არც საკუთარ კულტურას არ კარგავენ. თუმცა, მათზე ზეწოლა დიდია. ჰერეთში კულტურის ელემენტების გაცვლაზეც შეიძლება საუბარი. ეს გავლენა ორმხრივია.

ჰერეთის ტერიტორიაზე ქართულ მოსახლეობას ადაპტაციის გავლა არ სჭირდებოდა. რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, ისინი ბუნებრივია ადაპტაციას განიცდიდნენ. ამიტომ, ჩვენი ვარაუდით, მოხდა ის, რომ აქ დასახლებულმა აზერბაიჯანელებმა ქართული ეთნიკური კულტურის ბევრი კომპონენტი შეითვისეს. მაგალითად ქორწილის რიტუალი, სუფრის ელემენტები, საკვები და სხვ.

საბჭოთა წყობილების რღვევის შემდეგ იქ მაცხოვრებელ კომპაქტურად დასახლებულ ქართველებს აზერბაიჯანელებმა დაურღვიეს კომპაქტურობა. შეიქმნა პოლიეთნიკური საზოგადოება. დასაქმების თვალსაზრისით ქართველებს საბჭოთა წყობილების დროს და მას შემდეგაც პრობლემები აქვთ.

კახში „ინგილოების“ კულტურა ყოველთვის დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის საზოგადოებრივ შეგნებასთან, მათი ქცევის წესებთან, ოჯახის ფორმასთან. ისინი თავიანთი ქართული კულტურის გარეშე არ იქნებოდნენ ის, რაც დღეს არიან. თავისთავად ცხადია, აცნობიერებენ საკუთარ კულტურას, ისტორიას და ა.შ. მათში თავმოყრილია მთელი რიგი ის ღირებულებები, რაც ქართულმა ეთნოსმა მრავალსაუკუნოვანი ყოფა-ცხოვრების შედეგად შექმნა – მატერიალური, სოციალური, მეურნეობრივი ყოფა და სხვ. ისინი აცნობიერებენ, რომ აზერბაიჯანელებისაგან განსხვავებულნი არიან, განსხვავებულია მათი საოჯახო ყოფა, საქორწინო ჩვეულებები, რელიგია, საკვები და ა.შ. მაგრამ ისინი, ამავე დროს ტოლერანტული ბუნებისა და ხასიათისა არიან. აზერბაიჯანელებთან ინტეგრირებულები არიან. მეტყველებენ მათ ენაზე. მიუხედავად ამისა, ამჟამად მათ აზერბაიჯანში ცხოვრების სათანადო პირობები არა აქვთ, ისინი საერთოდ არ არიან დასაქმებულები. ჩვენი ვარაუდით, აზერბაიჯანის სახელმწიფო სტრუქტურებმა მათ ეთნოკულტურულ განვითარებას ხელსაყრელი პირობები უნდა შეუქმნას, ისევე როგორც აზერბაიჯანელებს აქვთ საქართველოში. საჭიროა შეიქმნას პერსპექტივა, მოქმედების ცივილიზებული მოდელი, რომელმაც სერიოზული ზიანის გარეშე უნდა გადაარჩინოს, საკუთარ ტერიტორიაზე, მაგრამ ამჟამად უცხო ქვეყანაში მცხოვრები ქართული ეთნოსის ნარჩენი.

Salome Bakhia – Okruashvili

Family and Family Every – Day Life of the Georgian Population of Azerbaijan (Ingilos)

"Saingilo" is the historical territory of the eastern part of the united Georgia, outskirts of Kakheti. It is located in the Alazani gorge. At the beginning of the Soviet rule three regions: Belakani, Zakatala and Kakhi found themselves within the frames of the Republic of Azerbaijan. Forced Islamization of the population of Georgia was the result of robbery and violent actions of Iran and the Ottoman Empire, Muslim mountain nomadic groups and communities of Lezgin (Dagestan). Despite grate pressure Christian population having Georgian identity lives compactly only in Kakhi region. Georgian population of Kakhi managed to maintain their culture. "Saingilo" and "Ingilo" in Persian language means "uprooted", "eradicated" and was connected with "taming" or becoming Muslim.

Study of the family every- day life issues of "Ingilos" and customs connected with them reflected peculiarities of the 18th – 19th centuries social, economic, ideological, psychological and demographic every - day life. Besides, on this territory mainly two forms of the family, large and individual, were recorded. Large families were in majority even in the first half of the 20th century. Undivided family, where brothers, cousins and some generations lived together, could better protect itself from the enemy.

The structure, composition, control system, social norms, economy, rights of men and women, etc. of the large family in Kakhi region was similar to the large family both in West and East Georgia. Because of the influence of the Muslim population there is some terminological diversity.

Ethnographic materials and materials of the scientific literature tell us that in Kakhi region Georgians observed the traditional norms of family life very well. After the decay of the large family, separation and division of the property was made between the brothers of the older generation. The estate and movable properties used to be divided equally. Daily income of victuals divided between family members equally.

"Ingilos" attended church services and participated in all festivals. But the hart and the "holy bin" attached to Dedabodzi (the main pillar in the interior of the traditional Georgian house) were believed as the sacred place and the holy relic of the family. The Day of Umdzrakhoba (silence, not uttering a word) was also believed as a domestic feasting day.

Modern Georgians who live in Kakhi region do not become Muslims and do not assimilate with Azerbaijanians but are integrated with them. All of

them speak Azerbaijanian language. Despite of this, they have not appropriate living conditions. They are not employed. In our opinion, governmental structures of Azerbaijan should have created appropriate conditions for their ethno-cultural development like Azeris have in Georgia. It is necessary to create an outlook, a model of civilized activities, which should save without serious damage the remains of Georgian ethnicity living on their territory. The friendly relations of two countries, Georgia and Azerbaijan, should not be hindered or deteriorate either.